შენიშვნა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2021 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ადვოკატის საჩივარი და მას დაეკისრა სახდელის სახედ საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 06 თვემდე ვადით. (საქმე Nსსდ-07-21)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე ბაქრაძე

კომისიის წევრები: კონსტანტინე გელაშვილი, ანა ხურციძე, მარიკა არევაძე, ქეთევან უტიაშვილი, ხათუნა ჩხაიძე, ინგა სეხნიაშვილი, ირაკლი კორძახია, ია გაბედავა, არჩილ ჩოფიკაშვილი

საჩივრის ავტორი: ვალენტინა მელნიკოვა, შალვა ბიბილაშვილი

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.05.2018

საჩივრის რეგისტრაციის N060/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გურამ საათაშვილის მიმართ /სიითი N1135/

ადვოკატის წარმომადგენელი: ადვოკატი ვალერიან გელბახიანი / სიითი N4881/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გურამ საათაშვილისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 08 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ვალენტინა მელნიკოვამ, 2018 წლის 03 ივლისს შალვა ბიბილაშვილმა და მოითხოვეს ადვოკატ გურამ საათაშვილისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორთა განცხადებით, 2013 წლის 12 ნოემბერს მათ მიმართეს ადვოკატ გურამ საათაშვილს, რათა მას ეწარმოებინა მათი საქმე, ივანე გულიაშვილის მიმართ, რომელმაც სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მიზნით, მათი მეშვეობით ისესხა თანხა, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ვალენტინა მელნიკოვას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. ივანე გულიაშვილი თანხას არ უბრუნებდათ და ჰქონდათ დავა.

1.3 ადვოკატთან უშუალო კომუნიკაცია ჰქონდა შალვა ბიბილაშვილს - ვალენტინა მელნიკოვას სიძეს. შალვა ბიბილაშვილი და გურამ საათაშვილი ცხოვრობდნენ ერთ უბანში. შალვა ბიბილაშვილი მეგობრობდა ადვოკატის შვილთან და შესაბამისად, ისინი ენდობოდნენ ადვოკატ გურამ საათაშვილს. როდესაც საუბარი იყო თანხაზე, თანხის მისაღებად ადვოკატი ყოველთვის მიდიოდა მათთან სახლში.

1.4 ვალენტინა მელნიკოვას განცხადებით, ადვოკატმა განუმარტათ, რომ საქმე უნდა დაეწყოთ სამოქალაქო წარმოების გზით და შემდეგ გააგრძელებდნენ სისხლის სამართლებრივი კუთხით. ადვოკატმა თავდაპირველად მოითხოვა და მიიღო 500 ლარი ანაზღაურების სახით. ამ თანხით ადვოკატს უნდა მოეძიებინა საბუთები და უნდა გაეფორმებინათ მინდობილობა. ადვოკატმა საბუთები გაამზადა და მოითხოვა სასამართლოში ბაჟის შესატანად 1 500 ლარი.

1.5 ვალენტინა მელნიკოვას განცხადებით, ადვოკატმა მოგვიანებით მათ განუმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში დავა მოიგეს და სჭირდებოდათ სასამართლოში ახალი საქმის წარმოება, რადგან დაეყადაღებინათ ივანე გულიაშვილის მშობლების ქონება, იმისთვის, რომ მიეღოთ თანხა. ამისათვის მათ უნდა გადაეხადათ თანხა - 1000 ლარი. პარალელურად, როდესაც მათთან მიდიოდა იპოთეკარი და სთხოვდათ თანხის გადაცემას, ადვოკატი ეუბნებოდათ, რომ არ ენერვიულათ, ამ თანხას მიიღებდნენ ივანე გულიაშვილისაგან და ბინას არ დაკარგავდნენ. ადვოკატმა მათ განუმარტა, რომ რადგან მათი იპოთეკარი მოქმედებდა არაკანონიერად, მის წინააღმდეგ მიმართავდა სასამართლოს და დროს გააჭიანურებდა. ამისათვის მან მოითხოვა 1000 აშშ დოლარი. ამ პერიოდში კი ვალენტინა მელნიკოვას საკუთრებაში არსებული და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება იპოთეკარმა აუქციონის მეშვეობით გაყიდა. მათ დაურეკეს გურამ საათაშვილს, აცნობეს ვითარება, ეგონათ ადვოკატს მიმართული ჰქონდა სასამართლოსათვის. ადვოკატმა განუმარტათ, რომ საბუთები და თანხა შეიტანა სასამართლოში, მაგრამ მოსამართლემ სარჩელი არ მიიღო წარმოებაში. ადვოკატმა ასევე განუმარტათ, რომ მათი 1000 აშშ დოლარი დარჩა მოსამართლესთან.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, გურამ საათაშვილი მათ უკრძალავდა ივანე გულიაშვილთან დაკავშირებას, იმ საფუძვლით, რომ მას შეეძლო პროვოკაციის მოწყობა. ბოლოს როდესაც შალვა ბიბილაშვილი ესაუბრა ივანე გულიაშვილს, გულიაშვილმა მოითხოვა მასთან მეორედ აღარ დაერეკა, რადგან თანხა ჰქონდა უკვე გასტუმრებული. საჩივრის ავტორები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ივანე გულიაშვილმა თანხა გადაიხადა და ეს თანხა მიიღო ადვოკატმა გურამ საათაშვილმა.

1.7 შალვა ბიბილაშვილმა ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 03 ივლისს, ასევე განხილვის კოლეგიის სხდომაზე 16 ოქტომბერს დამატებით განმარტა, რომ ადვოკატის რჩევის შედეგად ბინა იპოთეკით დატვირთეს 2-ჯერ. 2014 წელს ადვოკატმა უთხრა, რომ სამოქალაქო სასამართლოში საქმე მოიგეს, გამოვლინდა ივანე გულიაშვილის თაღლითური მოქმედება და საქმე აღიძრა პროკურატურაში. ქონების დასაყადაღებლად ადვოკატმა მათგან აიღო 1000 ლარი. საჩივრის ავტორთა განცხადებით, როდესაც ისინი ადვოკატს ეუბნებოდნენ, რომ გადაეცა სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც ნახავდნენ, რა პირობებით მოიგეს საქმე, ადვოკატი სულ ეუბნებოდა, რომ ,,რატომ არ ენდობოდნენ, უცხო ხომ არ იყო“, შესაბამისად, მათ ერიდებოდათ და აღარ ითხოვდნენ გადაწყვეტილებებს.

1.8 შალვა ბიბილაშვილის განმარტებით, როდესაც მათთან მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები და უთხრეს, რომ 1 კვირაში გამოასახლებდნენ, მან დაუყოვნებლივ სცადა ადვოკატთან

დაკავშირება, თუმცა როგორც ყოველთვის ადვოკატი ვერ იპოვა. ადვოკატს სახლთან ელოდებოდა მთელი დღის განმავლობაში და ღამის პირველ საათზე მივიდა ადვოკატი სახლში. ადვოკატმა განუმარტა, რომ რადგან წინასწარ 1 თვით ადრე არ შეატყობინეს, რომ მოხდებოდა მათი გამოსახლება, ეს იყო კანონდარღვევა, მას დასჭირდებოდა დაახლოებით 1500 ლარი, რომ სარჩელი შეეტანა სასამართლოში და განუმარტა, რომ სანამ სასამართლო გადაწყვეტილებას არ მიიღებს, მათ ვერ გამოასახლებდნენ. ამასობაში სასამართლოში დამთავრდებოდა ივანე გულიაშვილის საქმეც და მისგან ამოღებული თანხით გაისტუმრებდნენ იპოთეკარს. მომჩივანთა განმატებით, ადვოკატს ეს თანხა გადასცეს მეორე დღეს. ბინიდან ისინი მაინც გამოასახლეს. ადვოკატმა მათ განუმარტა, რომ მართალია მოსამართლემ სარჩელი მიიღო, მაგრამ მას უთხრა, რომ ამ საკითხზე გადაწყვეტილებას მათ სასარგელოდ ვერ გამოიტანდა, რადგან შეიქმნებოდა პრეცედენტი და ამას ვერ გაბედავდა. შალვა ბიბილაშვილის კითხვაზე თუ რა ბედი ეწია მის მიერ გადახდილ ბაჟის თანხას, ადვოკატმა განუმარტა, რომ ეს თანხა შეტანილია სახელმწიფო ბიუჯეტში და უკან ვერ დაუბრუნდებოდა.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, გამოსახლების შემდეგ მას საცხოვრებელი არ ჰქონდა და ოჯახთან ერთად გადავიდა მანგლისში. ადვოკატი მის ზარებს არ პასუხობდა. შალვა ბიბილაშვილმა დედამისს თამარ ბიბილაშვილს სთხოვა მოეძებნა ადვოკატი, როდესაც დედამისი მიდიოდა ადვოკატის საცხოვრებელ სახლში, ადვოკატი სახლში არასოდეს იყო და მისმა ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ არც გურამ საათაშვილის ადგილსამყოფელი და არც ის, თუ როდის დაბრუნდებოდა სახლში.

1.10 შალვა ბიბილაშვილის განმარტებით, მას მოგვიანებით თბილისში გამოუჩნდა სამუშაო და მეგობრის სახლში რჩებოდა. თბილისში ყოფნის პერიოდში ის ყოველდღიურად ელოდებოდა ადვოკატს სახლთან. ერთ დღეს, როდესაც ადვოკატი ნახა, მან განუმარტა, რომ ივანე გულიაშვილს ჰყავდა სერიოზული მფარველი პროკურატურაში, რის გამოც ჭიანურდებოდა მისი საქმის განხილვა.

1.11 ამ ფაქტის შემდეგ ადვოკატმა მას დაურეკა, უთხრა რომ დაიწყო მუშაობა ვალერი გელბახიანთან, რომელსაც გააცნო საქმე და რომელიც ნაცნობების მეშვეობით შეპირდა დახმარებას.

1.12 შალვა ბიბილაშვილის განცხადებით, მას ახლობელმა შესთავაზა, რომ ეს ამბავი გაეშუქებინათ, შესაბამისად, მან ადვოკატს მოსთხოვა საბუთების უკან დაბრუნება. ადვოკატმა განუმარტა, რომ საბუთებს გადასცემდა, მაგრამ შემდეგ ისევ შეუძლებელი გახდა მასთან კომუნიკაცია - ტელეფონი ჰქონდა გამორთული და სახლში არ იყო. როდესაც ადვოკატი გამოჩნდა 2016 წლის ზაფხულში, მას მიაწოდა ინფორმაცია, რომ ივანე გულიაშვილის მხრიდან დაუკავშირდა ადამიანი, ნოდარ ჩხეიძე, რომელიც ვითომდა დაინტერესებული იყო ამ საქმით და შალვა ბიბილაშვილს თანხას გადაუხდიდა. ერთი კვირის შემდეგ გურამ საათაშვილი მას დაუკავშირდა და გადასცა იმ ადამიანის დანაბარები, რომ შალვა ბიბილაშვილისათვის თანხის გადასაცემად სჭირდებოდა დაახლოებით 10 დღის ვადა. ნოდარ ჩხეიძემ 1000 დოლარი მას გადასცა ადვოკატ გურამ საათაშვილის ხელით, 2016 წლის ზაფხულში. შალვა ბიბილაშვილის განმარტებით, ის ნოდარ ჩხეიძეს პირადად არასოდეს შეხვედრია.

1.13 შალვა ბიბილაშვილის განმარტებით, როგორც მან ადვოკატისაგან იცოდა, პროკურორთან ლევან კიკნაველიძესთან იკრიბებოდნენ ადვოკატი გურამ საათაშვილი, ვალერი გელბახიანი

და ივანე გულიაშვილის წარმომადგენელი ნოდარ ჩხეიძე და მსჯელობდნენ მის საქმესთან დაკავშირებით. როდესაც ის ეუბნებოდა ადვოკატს, რომ უნდოდა დასწრებოდა მათ საუბარს, ადვოკატი ეუბნებოდა, რომ პროკურატურა მის სახელზე საშვს არ დაუშვებდა. ამ საუბრებიდან ერთ თვეში ადვოკატი გურამ საათაშვილი ისევ ,,გაქრა" და 3 თვის შემდეგ მან იპოვა სახლთან, ისევ ყოველდღიურად მის სახლთან ლოდინის შედეგად. ადვოკატმა განუმარტა, რომ თავად ჰქონდა სერიოზული პრობლემები, რომელთა მოგვარებისათვის სჭირდებოდა 2 თვე და ამ დროის შემდეგ ის ნახავდა ნოდარ ჩხეიძეს და გააგრძელებდა მასთან მოლაპარაკებას. შალვა ბიბილაშვილი დათანხმდა, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა.

1.14 შალვა ბიბილაშვილის განმარტებით, 2017 წელს მან კვლავ, სახლთან მრავალდღიანი ლოდინის შემდეგ, ნახა ადვოკატი გურამ საათაშვილი, რომელმაც გადასცა ჩხეიძის დანაბარები, რომ მას უნდოდა საბანკო ანგარიშის ნომერი და თანხებს ჩაურიცხავდა ეტაპობრივად. შალვა ბიბილაშვილმა გადასცა ადვოკატს ანგარიშის ნომერი. ამის შემდეგ ადვოკატს ვეღარ უკავშირდებოდა. ადვოკატის ოჯახმა ისიც კი არ იცოდა ცოცხალი იყო თუ არა. 2017 წელს შალვა ბიბილაშვილი შეხვდა ადვოკატს და საბოლოოდ მოსთხოვა გადაცემული დოკუმენტების უკან დაბრუნება. გურამ საათაშვილმა კვლავ უთხრა, რომ საქმე გამოდიოდა და ცოტა დრო სჭირდებოდა. შალვა ბიბილაშვილი არ დათანხმდა ადვოკატს, უთხრა, რომ მეორე დღეს მივიდოდა მასთან სახლში და გადაეცა ყველა ის დოკუმენტი, რაც სახლში ჰქონდა. როდესაც ის ადვოკატთან სახლში მივიდა, გურამ საათაშვილი დახვდა ძალიან გაღიზიანებული, რადგან შალვა ბიბილაშვილმა გამოთქვა ეჭვი, რომ ივანე გულიაშვილისაგან თანხა ადვოკატმა აიღო. ადვოკატმა განუცხადა, რომ საბუთები ოფისში ჰქონდა და მეორე დღეს მისცემდა. შემდეგ ადვოკატს ისევ ვერ უკავშირდებოდა და ბოლოს, 2018 წელს, როდესაც მან ძალიან შეაწუხა ადვოკატის ოჯახი მათთან მისვლით და გურამ საათაშვილის მოკითხვით, ადვოკატის მეუღლემ განუმარტა, რომ გურამ საათაშვილს ოფისი ჰქონდა გლდანში. შალვა ბიბილაშვილმა მოიარა მთელი გლდანი და შემთხვევით იპოვა ვალერი გელბახიანისა და გურამ საათაშვილის ოფისი. როდესაც ის შეხვედრაზე მივიდა ამ ოფისში გურამ საათაშვილთან სასაუბროდ, მას ახლდა ნაცნობი, ადვოკატის მხრიდან მათ საუბარს ესწრებოდა პირი, რომელსაც ,,პანჩოს" ეძახდნენ და ვალერი გელბახიანი, მათ ჰქონდათ მძიმე საუბარი და შალვა ბიბილაშვილმა კიდევ ერთხელ მოითხოვა საბუთების გადაცემა, ასევე აცნობა ადვოკატს, რომ გადაამოწმა პროკურატურაში და მისი საქმე საერთოდ არ იყო შეტანილი, რაზეც ადვოკატმა განუცხადა, რომ ეს იყო შეუძლებელი და საქმე არ ,,გაქრებოდა" და საბუთებს გადასცემდა მომდევნო დღეს.

1.15 შალვა ბიბილაშვილის განმარტებით, როდესაც მეორე დღეს ის მივიდა ადვოკატთან ოფისში, მასთან დახვდა უცნობი პიროვნება - ვაჟა მოთიაშვილი, რომელმაც განუმარტა, რომ იყო პოლიციის პოლკოვნიკი და მისთვის ეთქვა, თუ რა პრეტენზიები ჰქონდა გურამ საათაშვილთან. მან ვრცლად გააცნო მას თავისი პრეტენზიები. ვაჟა მოთიაშვილმა და გურამ საათაშვილმა საბუთების გადაცემის მიზნით ის დაიბარეს მეორე დღეს, ისნის მეტროსთან. მეორე დღეს 2018 წლის 14 აპრილს, ის მარტო მივიდა ისნის მეტროსთან, სადაც დახვდნენ ადვოკატი გურამ საათაშვილი, ვაჟა მოთიაშვილი და გადასცეს საბუთები. შალვა ბიბილაშვილი განმარტავს, რომ ადვოკატმა საბუთები დაუბრუნა არასრულყოფილი სახით. ადვოკატმა დაუკარგა ივანე გულიაშვილის მიერ მითვისებული თანხის, 60000 ლარის ბრუნვის დოკუმენტი. ასევე გურამ საათაშვილმა უთხრა, რომ სასამართლოში და პროკურატურაში საქმე არ შეუტანია, რადგან მას უნდოდა ეს ყველაფერი მომხდარიყო სხვანაირად, არაკანონიერად.

1.16 შალვა ბიბილაშვილის გაცხადებით, ამჟამად ივანე გულიაშვილი არის ჰოლანდიაში და როდესაც ის ტელეფონით ესაუბრა, მან განუმარტა, რომ მისი ვალი აღარ ჰქონდა, ეს პრობლემა დიდი ხნის წინ მოაგვარა და ტელეფონი გაუთიშა. შალვა ბიბილაშვილის განმარტებით, მას ივანე გულიაშვილმა გადასცა მხოლოდ 11500 აშშ დოლარი. ამ თანხით მან გადაიხადა იპოთეკის პროცენტები და გაისტუმრა ერთი იპოთეკარი.

1.17 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ გურამ საათაშვილს აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაცია და იგი არ იყო უფლებამოსილი ეწარმოებინა მათი სამოქალაქო საქმე.

2. საჩივრის ავტორის მოწმე ნატალია სივოპლიასოვა

2.1 ეთიკის კომისიის 2019 წლის 25 ოქტომბრის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ ნატალია სივოპლიასოვამ განმარტა, რომ ის არის შალვა ბიბილაშვილის მეუღლე. ადვოკატი გურამ საათაშვილი წლების განმავლობაში იყო მათი ადვოკატი. შალვა ბიბილაშვილი ადვოკატს ენდობოდა, რადგან გურამ საათაშვილი არის შალვა ბიბილაშვილის მეგობრის მამა. ადვოკატს თავდაპირველად შალვა ბიბილაშვილი შეხვდა მასთან და დედამისთან ერთად. როდესაც მათ ადვოკატს სამართლებრივი დახმარების მისაღებად მიმართეს, ამ დროისათვის იპოთეკარები მათგან უკვე ითხოვდნენ თანხის გადახდას.

2.2 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატი მუდმივად აძლევდათ საქმის მოგების გარანტიას. ადვოკატმა განუმარტათ, რომ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და მათ საქმე მოიგეს, რაც სიმართლე არ აღმოჩნდა, ადვოკატს სარჩელით სასამართლოსთვის საერთოდ არ მიუმართავს.

2.3 მოწმე განმარტავს,რომ ადვოკატთან კომუნიკაცია იყო რთული, რადგან იყო პერიოდი, როცა მას საერთოდ ვერ უკავშირდებოდნენ რამდენიმე თვის განმავლობაში ისე, რომ ადვოკატის ოჯახმაც კი არ იცოდა თუ სად იყო.

2.4 მოწმის განმარტებით, ადვოკატმა 2 წლის განმავლობაში საქმის მასალები არ დაუბრუნათ და როდესაც დაუბრუნათ, მასალებს აკლდა ივანე გულიაშვილის საბანკო ამონაწერი. ადვოკატის მიერ დაბრუნებული საბუთები მან და მისმა მეუღლემ შეამოწმეს ერთად. სანამ საბუთებს დაუბრუნებდათ, ადვოკატი არ აძლევდათ საშუალებას, რომ საქმის მასალების ასლები გადაეღოთ.

2.5 მოწმის განმარტებით, ადვოკატი მუდმივად უწევდათ კონსულტაციას, რომ ბინა არ გაეყიდათ, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ის შედეგი, რომ მისმა ოჯახმა ბინა დაკარგა.

3. საჩივრის ავტორის მოწმე თამარ ფხალაძე

3.1 2018 წლის 09 ივლისის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ თამარ ფხალაძემ განმარტა, რომ არის შალვა ბიბილაშვილის მეუღლის ბავშვობის მეგობარი. შალვა ბიბილაშვილს და მის მეუღლეს ჰქონდათ სამართლებრივი პრობლემები, შესაძლოა დაეკარგათ ბინა და სამართლებრივი დახმარებისათვის მიმართეს ადვოკატ გურამ საათაშვილს. ის ადვოკატ გურამ საათაშვილს პირადად არ იცნობს, ნანახი ყავს ორჯერ: ერთხელ შალვა ბიბილაშვილის მეუღლის სახლის ლიფტიდან გამოდიოდა და შეხვდა ადვოკატი, მეორედ ნახა მაშინ, როდესაც შალვა ბიბილაშვილს ასესხა სახელმწიფო ბაჟის თანხა ადვოკატისათვის გადასაცემად, შალვა ბიბილაშვილის მეუღლის სახლში, ეს მოხდა დაახლოებით 4 წლის წინ, გაზაფხულის ან ზაფხულის პერიოდში.

3.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატი გურამ საათაშვილი ცხოვრობს მის მეზობლად. რადგან შალვა ბიბილაშვილი ადვოკატს ტელეფონით ვერ უკავშირდებოდა, ხშირად მიდიოდა ადვოკატთან

სახლში. ადვოკატი სახლში არ ხვდებოდა, მისი მეუღლე თუ უპასუხებდა, ეუბნებოდა, რომ ადვოკატი არ იყო სახლში და მან არ იცოდა როდის მივიდოდა, აქედან გამომდინარე ქუჩაში რომ არ დალოდებოდა, შალვა ბიბილაშვილი ადიოდა მასთან ბინაში, თუ ზამთარი იყო თბებოდა, ისვენებდა და ისევ ჩადიოდა ადვოკატის საცხოვრებელ სახლთან. ამ ყველაფერს ქონდა ინტენსიური ხასიათი. შალვა ბიბილაშვილი ადვოკატთან შეხვედრას ცდილობდა კვირების და თვების განმავლობაში. ის ხშირად სახლის გასაღებსაც უტოვებდა შალვა ბიბილაშვილს, რომ მას ჰქონოდა ადგილი, სადაც ადვოკატს დაელოდებოდა.

3.3 მოწმის ინფორმაციით, როგორც მან შალვა ბიბილაშვილისა და მისი მეუღლისაგან იცის, თავიდან საქმე კარგად მიდიოდა, მოიგეს საქმე საქალაქო სასამართლოში, გამოჩნდა პიროვნება, რომელიც ივანე გულიაშვილისაგან იყო გამოგზავნილი, იხდიდა თანხას და ადვოკატმა შალვა ბიბილაშვილს უთხრა, რომ ბინა მოეძებნათ. შალვა ბიბილაშვილი და მისი მეუღლე თამარ ფხალაძის სახლში, მისი კომპიუტერის მეშვეობით ათვალიერებდნენ და არჩევდნენ ბინებს, რადგან მათ თავისი კომპიუტერი უკვე აღარ ქონდათ.

3.4 მოწმის განმარტებით, თუ სწორად ახსოვს პიროვნებამ - ნოდარმა, შალვა ბიბილაშვილს ბეს სახით თანხა მისცა, რაც უნდა ყოფილიყო იმის გარანტია, რომ ის თანხას გადაიხდიდა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ არანაირი ნოდარი არ არსებობდა და ადვოკატი გურამ საათაშვილი შალვა ბიბილაშვილსა და მის ოჯახს ატყუებდა.

3.5 მოწმის განმარტებით, ის ესწრებოდა იმ ფაქტს, რომ შალვა ბიბილაშვილი ურეკავდა ადვოკატ გურამ საათაშვილს და მას ტელეფონი მუდმივად გამორთული ქონდა. ის თავისი ტელეფონითაც ურეკავდა ადვოკატს და არც მის ზარებს პასუხობდა. როდესაც ადვოკატი პასუხობდა შალვა ბიბილაშვილს, ეუბნებოდა რომ სასამართლოში იყო და ამის გამო ჰქონდა ტელეფონი გამორთული, ან ციხეში იყო, ან რომ ტელეფონი დაკარგა და ა.შ.

3.6 მოწმე თამარ ფხალაძე გამოკითხა განხილვის კოლეგიამ 2019 წლის 07 მაისს. მოწმემ დაადასტურა ის გარემოებები, რომლებიც მან მიუთითა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე.

4. საჩივრის ავტორის მოწმე თამარი ბიბილაშვილი:

4.1 2019 წლის 7 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ თამარი ბიბილაშვილმა განმარტა, რომ ის არის შალვა ბიბილაშვილის დედა. მოწმის განმარტებით, როდესაც მის შვილს შეექმნა სამართლებრივი პრობლემა, თავად ურჩია ადვოკატ გურამ საათაშვილის მომსახურებით სარგებლობა.

4.2 მოწმის განმარტებით, პირველი შეხვედრისას ადვოკატმა მის შვილს დაავალა გარკვეული საბუთების მოძიება, რომელიც მისმა შვილმა მოიძია და გადასცა ადვოკატს. ამ საბუთებს შორის იყო ივანე გულიაშვილის საბანკო ბრუნვების ამონაწერი.

4.3 მოწმის განმარტებით, მან ბანკიდან გამოიტანა თანხა, რომ მის შვილს ადვოკატისათვის გადაეცა 1500 ლარი, როგორც ადვოკატმა განმარტა, ეს თანხა მას სჭირდებოდა სარჩელის სასამართლოში შესატანად, რეალურად ადვოკატს სასამართლოში სარჩელი არ შეუტანია.

4.4 მოწმის განმარტებით, ისინი ყოველთვიურად აკითხავდნენ ადვოკატს, რომელიც ეუბნებოდათ, რომ ყველაფერი კარგად იყო და სასამართლოში მათი მისვლა არ იყო საჭირო. ამ პერიოდში მის შვილს მევალემ მოსთხოვა ბინის დაცლა. ადვოკატი მათი თხოვნით დაელაპარაკა მისი შვილის მევალეს და უთხრათ, რომ მან მისცა 2 თვის ვადა და ამ ორ თვეში ის ყველა პრობლემას

მოაგვარებდა. ამ ფაქტის შემდეგ ადვოკატს ვეღარ უკავშირდებოდნენ. მისი შვილი ოჯახთან ერთად სახლიდან გამოასახლეს.

4.5 მოწმის განმარტებით, რადგან მან იცოდა ადვოკატის საცხოვრებელი სახლის მისამართი, ხშირად აკითხავდა სახლში, სადაც ადვოკატის მეუღლე ეუბნებოდა, რომ არ იცოდა მისი ქმარი სად იყო. კარგა ხნის შემდეგ ადვოკატი გამოჩნდა და უთხრა, რომ მისი შვილის საქმე სასამართლოში მოიგო, მაგრამ გამოჩნდა ადამიანი, ჩხეიძე, რომელსაც ბიზნესი აკავშირებდა ივანე გულიაშვილთან და ამის გამო, მის შვილს თანხას გადაუხდიდა, შესაბამისად, ადვოკატმა განუმარტათ, რომ სასამართლოში დავის გაგრძელება აღარ ღირდა და მოეძებნათ ბინა, რომელსაც იყიდნენ ჩხეიძის მიერ მიცემული თანხით. ადვოკატი მათ ამ გზით ატყუებდათ 2018 წლამდე.

4.6 მოწმის განმარტებით, 2018 წელს მისმა შვილმა გურამ საათაშვილს საბოლოოდ მოსთხოვა თავისი საბუთების დაბრუნება. მთელი საადვოკატო მომსახურების პერიოდში, ადვოკატს თვეობით ვერ უკავშირდებოდნენ და წელიწადის ნებისმიერ დროს უწევდათ მის სახლთან ლოდინი. დიდი მცდელობის შედეგად, ადვოკატმა მის შვილს საბუთები დაუბრუნა, რომელსაც აკლდა ივანე გულიაშვილის საბანკო ბრუნვის ამონაწერი, სამაგიეროდ საბუთებში იყო საფოსტო დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა გურამ საათაშვილის მიერ ივანე გულიაშვილისათვის დოკუმენტის გაგზავნას. ადვოკატმა უპასუხათ, რომ მას ივანე გულიაშვილისათვის არაფერი გაუგზავნია.

5. ადვოკატის პოზიცია:

5.1 2018 წლის 23 მაისს ადვოკატმა გურამ საათაშვილმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა, რომ 2013 წელს ის შეხვდა ვალენტინა მელნიკოვასა და შალვა ბიბილაშვილს, რომლებმაც უთხრეს, რომ შალვა ბიბილაშვილის მეგობარს ივანე გულიაშვილს გადასცეს 20 000 აშშ დოლარი, ბიზნესის ერთად წარმოების მიზნით, რომელმაც თანხა არ დაუბრუნა და სურდათ მის მიმართ საქმის წარმოება.

5.2 ადვოკატის განმარტებით, რადგან შალვა ბიბილაშვილი იყო მისი მეზობელი უთხრა, რომ იურიდიულ მომსახურებას გაუწევდა 500 ლარად, თუმცა მასთან ხელშეკრულება არ გაუფორმებია.

5.3 ადვოკატის განმარტებით, მან დაიწყო შალვა ბიბილაშვილის მიერ მითითებული მტკიცებულებების მოპოვება. შალვა ბიბილაშვილმა მას განუმარტა, რომ მის სიმართლეს დაადასტურებდნენ მოწმეები, თუმცა მის მიერ დასახელებულმა მოწმეებმა საქმეში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

5.4 ადვოკატის განმარტებით, შალვა ბიბილაშვილმა მას გადასცა მხოლოდ ერთი დოკუმენტის ასლი, სწორედ ამიტომ თქვა მან ამ საქმის წარმოებაზე უარი, რომ მხარემ ვერც ერთი დოკუმენტი ვერ გადასცა და მისთვის გაურკვეველია რომელი დოკუმენტის დედანი უნდა გადაეცა მას შალვა ბიბილაშვილისთვის.

5.5 ადვოკატის განმარტებით, მან შალვა ბიბილაშვილსა და მის მეუღლეს ასესხა თანხა 1000 აშშ დოლარი და როგორც ჩანს, მათ აქვთ გადაწყვეტილი ეს თანხა არ დაუბრუნონ. მან კლიენტისაგან ჰონორარის სახით მიიღო 500 ლარი, რომელიც მესამე დღეს შალვა ბიბილაშვილმა გამოართვა.

5.6 2018 წლის 27 ივნისის ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატმა გურამ საათაშვილმა დამატებით განმარტა, რომ შალვა ბიბილაშვილმა დაურეკა ვაჟა მოთიაშვილს და უთხრა, რომ თითქოს მისთვის გადახდილი აქვს 4000 ლარი, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

5.7 ადვოკატის განმარტებით, მასთან მივიდა თამარ ბიბილაშვილი 5-6 წლის წინ, უთხრა, რომ მისმა შვილმა თავის მეგობართან საქმეში ჩადო თანხა და მისი მეგობარი თანხას უკან აღარ უბრუნებდა. სისხლის სამართლის საქმეზე მათ უკვე უარი ჰქონდათ მიღებული, ამ პერიოდისათვის შალვა ბიბილაშვილის ინტერესებს იცავდა სხვა ადვოკატი. თამარ ბიბილაშვილმა განუმარტა, რომ ყავდათ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებდნენ თანხის გადაცემის ფაქტს და მას, როგორც ადვოკატს მათი საქმე უნდა ეწარმოებინა სამოქალაქო წარმოების კუთხით.

5.8 ადვოკატის განცხადებით, მან პირველივე კონსულტაციისას ურჩია კლიენტს, რომ ბინა გაეყიდა, თუ ვერ ისტუმრებდა იპოთეკის თანხას, თორემ ბინას დაკარგავდა. გაყიდვის შემთხვევაში კი ცოტა თანხა მაინც დარჩებოდა. შემდეგ მან კლიენტს სთხოვა მისთვის მიეტანათ საქმის მასალები პროკურატურიდან, რომ გაცნობოდა გამოკითხვის ოქმებს. როდესაც მან მასალები ნახა, ვალენტინა მელნიკოვა წერდა, რომ ივანე გულიაშვილმა დაუბრუნა დაახლოებით 15000 აშშ დოლარი. ამის შემდეგ მან პროკურატურას ამ საქმეზე თავიდან მიმართა განცხადებით 2013 წელს. შემდეგ მან გაამზადა სარჩელი, მაგრამ რადგან შალვა ბიბილაშვილმა მტკიცებულებები ვერ წარმოუდგინა, უთხრა, რომ სარჩელის შეტანას აზრი არ ჰქონდა და საბოლოოდ სარჩელი არ შეუტანია, რომ მხარეს ტყუილად ბაჟის თანხა არ გადაეხადა.

5.9 ადვოკატის განმარტებით, ერთ-ერთ სუფრაზე მან შემთხვევით გაიცნო პიროვნება, ნოდარ ჩხეიძე, რომელსაც ივანე გულიაშვილთან ერთად ჰქონდა საერთო ბიზნესი. ამ პიროვნებამ მას უთხრა, რომ დაელაპარაკებოდა ივანე გულიაშვილს და თუ მას მართლაც ჰქონდა რაიმე თანხა გადასახდელი, გადაახდევინებდა. ეს მან აცნობა შალვა ბიბილაშვილს. მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ ნოდარ ჩხეიძემ მას უთხრა, რომ ესაუბრა ივანე გულიაშვილს, რომელმაც უთხრა, რომ თანხა ჰქონდა გადახდილი შალვა ბიბილაშვილისათვის და მისთვის თავი დაენებებინათ.

5.10 ადვოკატის განმარტებით, მისთვის შალვა ბიბილაშვილს თანხა სახელმწიფო ბაჟისათვის 1400 ლარის ოდენობით არ გადაუცია, რადგან სარჩელი სასამართლოში არ შესულა და მისთვის გაუკვეველია რა თანხაზეა საუბარი. აუდიტის დასკვნისათვის შალვა ბიბილაშვილმა გადაიხადა 50 ლარი, პირადად, და არა 1200 ლარი. ადვოკატის განმარტებით, მისთვის გაუგებარია რა ყადაღის 1700 ლარზე აქვთ პრეტენზია საჩივრის ავტორებს. ადვოკატი ასევე უარყოფს საჩივრის ავტორთა მიერ მისთვის 1000 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტს, რომელიც უნდა გამოეყენებინა იპოთეკის საქმის წარმოებისათვის.

5.11 ადვოკატის განცხადებით, მას შალვა ბიბილაშვილისათვის საქმის შედეგთან დაკავშირებით გარანტია არ მიუცია, პირიქით, მისი რჩევა იყო, რომ ბინა დროულად გაეყიდათ, რომ თანხის ნაწილი მაინც დარჩენოდათ.

5.12 ადვოკატის განმარტებით, მას ჰქონდა კომუნიკაცია თამარ ბიბილაშვილთან და შალვა ბიბილაშვილთან. თამარ ბიბილაშვილს ის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით ხშირად აძლევდა რჩევებს.

5.13 ადვოკატის განმარტებით, მას შალვა ბიბილაშვილმა გადასცა გულიაშვილის ანგარიშიდან ამონაწერი, სადაც ჩანდა გულიაშვილის საკუთრებაში არსებული თანხების მოძრაობა. ასევე, შალვა ბიბილაშვილმა გადასცა წინა ადვოკატის მიერ პროკურატურაში ნაწარმოების საქმის მასალები. ეს საბუთები შალვა ბიბილაშვილმა მოითხოვა 2018 წელს და მან დაუბრუნა.

6. ადვოკატის მოწმის ვაჟა მოთიაშვილის განმარტება:

6.1 ადვოკატის მოწმემ ეთიკის კომისიის 2018 წლის 27 ივნისის სხდომაზე განმარტა, რომ შალვა ბიბილაშვილი არის მისი შორეული ნათესავი. შალვა ბიბილაშვილის ოჯახმა ადვოკატი გურამ საათაშვილი მისი მეშვეობით გაიცნო წლებიც წინ, როდესაც შალვა ბიბილაშვილის ძმას ჰქონდა პრობლემა.

6.2 მოწმის განმარტებით, შალვა ბიბილაშვილმა მას უთხრა, რომ გურამ საათაშვილს მისთვის მისაცემი ჰქონდა თანხა, რომელიც გადასცა დედამისმა, 4000 ან 4500 ლარი, ოდენობა ზუსტად აღარ ახსოვს. გურამ საათაშვილმა მას განუმარტა, რომ არანაირი თანხა არ აუღია შალვა ბიბილაშვილისაგან. როდესაც მან ეს უთხრა შალვა ბიბილაშვილს, მან განუმარტა, რომ შეეშალა და დედამისს ადვოკატ გურამ საათაშვილისათვის თანხა არ გადაუცია.

6.3 მოწმის განმარტებით, მას რჩება შთაბეჭდილება, რომ შალვა ბიბილაშვილი არის გამომძალველი. დაახლოებით 2-3 თვის წინ ის გურამ საათაშვილს სთხოვდა 60000 აშშ დოლარს, იმ თანხას, რომელიც მისთვის უნდა გადაეცა ივანე გულიაშვილს. ეს მოვლენა ვითარდებოდა ვალერი გელბახიანისა და გურამ საათაშვილის ოფისში, გლდანში. შალვა ბიბილაშვილს თან ახლდა ვიღაც, მისთვის უცნობი პიროვნება. ამ ფულის მისაღებად შალვა ბიბილაშვილი ამბობდა, რომ საქმეში ჩართავდა კრიმინალებს. მის გარდა შალვა ბიბილაშვილისა და გურამ საათაშვილის საუბარს ოფისში ესწრებოდნენ გულდიდი საღინაძე, შალვას მეგობარი და ბოლოს შეუერთდათ ვალერი გელბახიანი, რომელმაც შალვა ბიბილაშვილი გარეთ გაუშვა, რადგან ის ყვიროდა. საუბარი გაგრძელდა გარეთაც, რომელსაც ესწრებოდა თავად, შალვა ბიბილაშვილი და მისი მეგობარი, ადვოკატი გურამ საათაშვილი და სავარაუდოდ გულდიდი საღინაძეც.

6.4 მოწმის განმარტებით, სახელი ნოდარ ჩხეიძე ამ საქმესთან დაკავშირებით არაფერს ახსენებს. ის იცნობს ნოდარ ჩხეიძეს, რომელიც არის ტაქსის მძღოლი.

6.5 2019 წლის 15 თებერვლის განხილვის კოლეგიის სხდომაზე მოწმემ დამატებით განმარტა, რომ საბუთების ჩაბარებისას შალვა ბიბილაშვილმა საბუთები დაათვალიერა და თქვა, რომ არაფერი აკლდა. ასევე თქვა, რომ ადვოკატ გურამ საათაშვილის მიმართ პრეტენზია არ ჰქონდა.

7. ადვოკატის მოწმის გულდიდი საღინაძის განმარტება:

7.1 ადვოკატის მოწმემ გულდიდი საღინაძემ ეთიკის კომისიის 2018 წლის 27 ივნისის სხდომაზე განმარტა, რომ შალვა ბიბილაშვილს რაღაც საქმესთან დაკავშირებით გურამ საათაშვილთან ჰქონდა პრეტენზია და ეუბნებოდა, რომ მისთვის უნდა გადაეხადა 60000 აშშ დოლარი.

7.2 მოწმის განმარტებით, ის დიდი ხანია რაც იცნობს შალვა ბიბილაშვილს. 2-3 წლის წინ როდესაც ის იმყოფებოდა გურამ საათაშვილის სახლში, რემონტში ეხმარებოდა, ამ დროს გურამ საათაშვილთან მივიდა შალვა ბიბილაშვილი დედასთან და მეუღლესთან ერთად. შალვა ბიბილაშვილს პრობლემა ჰქონდა საერთო საქმეში ერთ მოწილესთან და ამ საქმეში გურამ საათაშვილს სთხოვა დახმარება. შალვა ბიბილაშვილმა ადვოკატს განუცხადა, რომ ჰყავდა მოწმეები, თუმცა, როგორც მას ახსოვს, მოწმეებმა საქმეში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

7.3 მოწმის განმარტებით, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ის და ადვოკატი გურამ საათაშვილი ამ უკანასკნელის სახლის ეზოში საქმიანობდნენ, რა დროსაც გურამ საათაშვილთან მივიდა შალვა ბიბილაშვილი. გურამ საათაშვილმა შალვა ბიბილაშვილს ჭიშკართან გახედა, შემდეგ სახლში შებრუნდა, გამოვიდა, ხელში ეჭირა თანხა და ამის შემდეგ შალვა ბიბილაშვილი წავიდა. გურამ საათაშვილმა მას უთხრა, რომ შალვა ბიბილაშვილს ფული სჭირდებოდა და მან ასესხა, როგორც მან უთხრა 1000 ლარი ან დოლარი, ზუსტად არ ახსოვს. მას არ დაუნახავს ხელიდან-ხელში როგორ გადასცა ეს თანხა შალვა ბიბილაშვილს ადვოკატმა გურამ საათაშვილმა.

7.4 მოწმის განმარტებით, ოფისში საუბარს, რომელიც შედგა 2018 წლის თებერვალში ან მარტში ესწრებოდნენ ვაჟა მოთიაშვილი, შალვა ბიბილაშვილს ახლდა ერთი პიროვნება, თავის მხრივ იქ იყო გურამ საათაშვილი და ბოლოს მათ საუბარში ჩაერთო ადვოკატი ვალერი გელბახიანი. მოწმის განმარტებით, როდესაც შალვა ბიბილაშვილს ვაჟა მოთიაშვილმა ჰკითხა რა ფულს სთხოვდა ადვოკატ გურამ საათაშვილს ან მომსახურების საფასური გადაუხადა თუ არა ადვოკატს, შალვა ბიბილაშვილმა თქვა, რომ მომსახურების საფასური არ გადაუხდია და სთხოვდა 60000 აშშ დოლარს, თანხას, რომელიც მისივე განმარტებით ადვოკატის გამო დაკარგა. შალვა ბიბილაშვილი გურამ საათაშვილს დაემუქრა, რომ ამ თანხას დაიბრუნებდა, მას დარჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ შალვა ბიბილაშვილი იმუქრებოდა არაკანონიერი საშუალებების გამოყენებით.

7.5 მოწმის განმარტებით, გურამ საათაშვილი ხშირად უწევდა კონსულტაციებს შალვა ბიბილაშვილს. მან უთხრა კიდეც გურამ საათაშვილს, რომ ხომ იცოდა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა და რატომ იწუხებდა თავს. გურამი კი ეუბნებოდა, რომ ცდილობდა როგორც ვაჟას ახლობელი და იქნებ რამე გამოსულიყო.

7.6 2019 წლის 15 თებერვლის განხილვის კოლეგიის სხდომაზე მოწმემ დაადასტურა საპროცესო ეტაპზე მითითებული გარემოებები.

8. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

8.2 2018 წლის 24 ივლისს მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ გურამ საათაშვილის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

8.3 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა გურამ საათაშვილმა კლიენტების ვალენტინა მელნიკოვასა და შალვა ბიბილაშვილის საქმე აწარმოა არაკვალიფიციურად, სამოქალაქო სასარჩელო წარმოების კუთხით, მაშინ, როდესაც მას აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაცია; ასევე, ადვოკატი კლიენტებს აწვდიდა არასწორ ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე და კლიენტებს უჭირდათ მასთან დაკავშირება; ასევე, ადვოკატმა კლიენტისაგან მიიღო სახელმწიფო ბაჟის თანხა 1500 ლარი, ჰონორარი 500 ლარი, 1000 ლარი სასამართლოში ქონების დაყადაღების მოთხოვნით სარჩელის შეტანისათვის, 1000 ლარი აუდიტის დასკვნისთვის და შემდეგ 1000 აშშ დოლარი იპოთეკარის წინააღმდეგ სარჩელის მომზადებისათვის და ეს თანხები მიზნობრივად არ გამოიყენა; ასევე, ადვოკატმა კლიენტს დოკუმენტაცია დაუბრუნა დიდი ხნის დაგვიანებით და არასრული სახით - ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველო კანონი, მუხლები 5.ა, 6.2; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 3, 8.5, 8.6, 8.12, 8.13, 8.15.

9. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

9.1 ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2018 წლის 05 ოქტომბრის მიწერილობით საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის მესამე დისციპლინურ კოლეგიას. მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ სხდომები ჩაატარა 2018 წლის 24 დეკემბერს, 2019 წლის 29 იანვარს, 2019 წლის 15 თებერვალს, 2019 წლის 23 აპრილს, 2019 წლის 07 მაისს და იხელმძღვანელა რა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 36-ე მუხლით, 2019 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით, საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

9.2 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად, ადვოკატის მიერ განხორციელებულ დისციპლინურ გადაცდომათა შეფასებით, ადვოკატს შესაძლებელია სახდელის სახით განსაზღვროდა გაფრთხილებაზე მეტი, განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, რის გამოც საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიას.

II სამოტივაციო ნაწილი

10. საქმის ფაქტები

10.1 უდავო ფაქტები:

10.1.1 ადვოკატ გურამ საათაშვილს აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაცია.

10.1.2 2013 წელს შალვა ბიბილაშვილმა და ვალენტინა მელნიკოვამ მიმართეს ადვოკატ გურამ საათაშვილს, რათა მას, როგორც ადვოკატს ეწარმოებინა მათი საქმე მოპასუხე ივანე გულიაშვილის მიმართ. ადვოკატმა აიღო ვალდებულება ეწარმოებინა მათი საქმე სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების წესით.

10.1.3 ადვოკატმა იურიდიული მომსახურებისათვის მოითხოვა 500 ლარი, რომელიც საჩივრის ავტორებმა გადასცეს.

10.1.4 აღნიშნულ საქმეზე ადვოკატთან უშუალო კომუნიკაცია ჰქონდა შალვა ბიბილაშვილს, კომუნიკაცია იყო გართულებული, კლიენტს საქმეზე ინფორმაციის მისაღებად, ადვოკატის სანახავად, უწევდა ადვოკატის საცხოვრებელ სახლთან ლოდინი.

10.1.5 ადვოკატს აღნიშნულ საქმეზე სასამართლოსთვის სარჩელით არ მიუმართავს.

10.1.6 ვალენტინა მელნიკოვასა და შალვა ბიბილაშვილის საცხოვრებელი ბინა იძულებით გასხვისდა მათი დავალიანების დასაფარად.

10.1.7 ადვოკატმა კლიენტს საქმის მასალები დაუბრუნა 2018 წელს.

10.2 სადავო ფაქტები:

10.2.1 საჩივრის ავტორებმა ადვოკატ გურამ საათაშვილს გადასცეს სახელმწიფო ბაჟის თანხა 1400 ლარი, აუდიტის დასკვნის მოსამზადებლად 1200 ლარი, მოვალის ივანე გულიაშვილის დედის ქონების დასაყადაღებლად 1700 ლარი.

ადვოკატი აღნიშნული თანხების მიღებას არ ადასტურებს. საჩივრის ავტორმა ფაქტის დასადასტურებლად კომისიას წარმოუდგინა მტკიცებულება - მოწმეთა ახსნა-განმარტება, რაც თანხის გადაცემის ფაქტის დადგენისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, საკმარის მტკიცებულებას არ

წარმოადგენს. მრავალ გადაწყვეტილებათა შორის, № ას-970-935-2016 საქმეში სასამართლომ დაადგინა, „მოწმეთა ჩვენებები ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის დასადგენად, როდესაც საქმეში არსებობს გამყიდველის მიერ გაცემული ფულადი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი და დასტურდება სადავო ქონების მოსარჩელის საკუთრებაში ნებაყოფლობით გადაცემის გარემოება, არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას და ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლით გათვალისწინებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის წესს... (პარ 52). აღნიშნულის გათვალისწინებით, არ დგინდება, რომ ადვოკატმა გურამ საათაშვილმა მიიღო ბაჟის თანხა - 1400 ლარი, აუდიტის დასკვნის მოსამზადებლად - 1200 ლარი, მოვალის ივანე გულიაშვილის დედის ქონების დასაყადაღებლად - 1700 ლარი.

10.2.2 ადვოკატმა შალვა ბიბილაშვილს დაუბრუნა იურიდიული მომსახურებისათვის აღებული თანხა 500 ლარი.

საჩივრის ავტორი აღნიშნულ ფაქტს არ ადასტურებს. რადგან ადვოკატს ზეპირი პოზიციის გარდა სხვა მტკიცებულება არ წარმოუდგენია, წინა პარაგრაფში წარმოდგენილი არგუმენტაციის გამო, ეთიკის კომისია არ ადგენს, რომ გურამ საათაშვილმა აღნიშნული თანხა კლიენტს დაუბრუნა.

10.2.3 ადვოკატი კლიენტებს შეგნებულად აწვდიდა მცდარ ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე.

საჩივრის ავტორთა (პარ. 1.5. 1.7, 1.8, 1.15) და მათი მხარის მოწმეების: ნატალია სივოპლიასოვას (პარ. 2.2, 2.3, 2.5), თამარ ფხალაძის (პარ. 3.3, 3.4, 3.5) და თამარი ბიბილაშვილის (პარ. 4.4, 4.5) პოზიციით, საჩივრის ავტორებს საქმის მიმდინარეობის თაობაზე ჰქონდათ არასწორი ინფორმაცია, რადგან მათ ადვოკატისგან იცოდნენ, რომ ადვოკატს წარდგენილი ჰქონდა არაერთი სარჩელი სასამართლოში. ადვოკატი განმარტავს, რომ მან თავიდანვე მიაწოდა კლიენტებს საქმეზე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სასამართლოსთვის სარჩელით არ მიუმართავს. იმ უდავო გარემოებების გათვალისწინებით, რომ კლიენტებმა 2013 წელს მიმართეს ადვოკატს დასახმარებლად, გადაუხადეს ჰონორარი, მიაწოდეს საბუთები და საქმესთან დაკავშირებული კომუნიკაცია გრძელდებოდა 2018 წლამდე, როდესაც ადვოკატმა დაუბრუნა საბუთები საჩივრის ავტორს. ამ მოცემულობით, დამაჯერებელია საჩივრის ავტორების განმარტება იმის თაობაზე, რომ მათ იცოდნენ, რომ ადვოკატს მიმართული ჰქონდა სასამართლოსთვის და ელოდებოდნენ შედეგს. კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა მცდარი ინფორმაცია მიაწოდა საჩივრის ავტორებს, რომ მას ჰქონდა სასამართლოსთვის მიმართული.

10.2.4 ადვოკატმა შალვა ბიბილაშვილს საქმის მასალები დაუბრუნა არასრულყოფილი სახით.

ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტისაგან მიიღო ივანე გულიაშვილის ანგარიშიდან ამონაწერი, სადაც ჩანდა გულიაშვილის საკუთრებაში არსებული თანხების მოძრაობა; ასევე, შალვა ბიბილაშვილმა გადასცა წინა ადვოკატის მიერ პროკურატურაში ნაწარმოები საქმის მასალები. დოკუმენტების დაბრუნების ფაქტის მტკიცების ტვირთი ადვოკატს ეკისრება. ადვოკატის პოზიციით, მან კლიენტს ეს დოკუმენტაცია დაუბრუნა,

რასაც კლიენტი არ ადასტურებს. ადვოკატს არ შეუდგენია დოკუმენტების მიღება - ჩაბარების აქტი. ადვოკატს კომისიისათვის არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომ კლიენტს სრულყოფილად დაუბრუნა გადაცემული დოკუმენტაცია. შესაბამისად, კომისიამ დაადგინა, რომ გურამ საათაშვილმა კლიენტს საქმის მასალები დაუბრუნა არასრულყოფილი სახით.

11. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ გურამ საათაშვილის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

12. სამართლებრივი შეფასება:

12.1 ადვოკატ გურამ საათაშვილის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დაწყებით იმ სფეროში, რაშიც მას არ აქვს მინიჭებული კვალიფიკაცია, დარღვეულია აპეკ-ის 8.5 მუხლი:

„ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

12.2 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 11.8 მუხლის თანახმად, ,,ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს.“

12.3 ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მომსახურება გაუწიოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით, ხოლო თუ ის მომსახურებას ახორციელებს სამოქალაქო საქმეზე, მან უნდა განუმარტოს კლიენტს, რომ მას სპეციალიზაცია მინიჭებული აქვს სისხლის სამარათალში და მას, მხოლოდ როგორც წარმომადგენელს აქვს უფლება წარმოადგინოს მისი ინტერესები სამოქალაქო საქმეზე. სამოქალაქო სამართლის საქმეებზე კვალიფიკაციის არქონისას არსებობს საფრთხე, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი, რაც კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის პროფესიული ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში ადვოკატი, რომელსაც არ აქვს მინიჭებული ლიცენზია შესაბამისი მიმართულებით, ვერ შეძლებს წარმოადგინოს საჩივრის ავტორის ინტერესები, რაც წარმოშობს სხვა ადვოკატის მოძიებისათვის და მის მიერ საქმის მომზადებისათვის დამატებითი დროისა და რესურსების ხარჯვის აუცილებლობას, რის შესახებაც კლიენტი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატმა კლიენტს მომსახურება გაუწიოს იმ სპეციალიზაციის მიხედვით, რომელშიც მინიჭებული აქვს საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია (საქმე N091/13, 26/02/2014).

12.4 დაცვის უფლების განხორციელების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი არ საქმიანობს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ადვოკატთა ერთიან რეესტრში რიცხული სპეციალიზაციის შესაბამისად. ეთიკის კომისია, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატს ანიჭებს რა კვალიფიკაციას შესაბამისი სპეციალიზაციით, ამის საფუძველზე აძლევს საადვოკატო საქმიანობის უფლებას საერთო, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის მიმართულებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით, ადვოკატთა ასოციაცია უზრუნველყოფს ადვოკატის პროფესიული ვალდებულების - კლიენტის

ინტერესთა კვალიფიციურად დაცვის - შესრულებას, რაც კლიენტისათვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკს ამცირებს და მინიმალურ სტანდარტს აწესებს, ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესატყვისად კლიენტის ინტერესების დაცვისთვის (საქმე N030/11, 26/08/2011).

12.5 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა იწყება პოტენციური კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევის მომენტიდან (საქმე N027/11, 20/08/2011).

12.6 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ როდესაც პირი იურიდიულ რჩევებს იღებს ადვოკატისაგან, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მხარეთა შორის არის სამეზობლო ან ნათესაური კავშირი და საადვოკატო ურთიერთობა ძალაშია იმისგან დამოუკიდებლად, ადვოკატი კლიენტს სასყიდლიანად ემსახურება თუ უსასყიდლოდ. კომისია არ იზიარებს ადვოკატის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ სამეზობლო ურთიერთობიდან გამომდინარე, ის შალვა ბიბილაშვილს ეხმარებოდა და მისი ადვოკატი არ ყოფილა, რადგან შალვა ბიბილაშვილმა მას დასახმარებლად მიმართა მისი, როგორც ადვოკატის იურიდიული ცოდნის გათვალისწინებით. შესაბამისად, შალვა ბიბილაშვილს, ვალენტინა მელნიკოვასა და გურამ საათაშვილს შორის წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა 2013 წელს.

12.7 საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ გურამ საათაშვილმა განუმარტა კლიენტს, რომ მას არ ჰქონდა ადვოკატის კვალიფიკაცია სამოქალაქო სამართალში.

12.8 კომისიის შეფასებით, მხარეები თანხმდებიან იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატ გურამ საათაშვილს შალვა ბიბილაშვილისა და ვალენტინა მელნიკოვას საქმე უნდა ეწარმოებინა როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო წარმოების კუთხით. ადვოკატი განმარტავს, რომ სამოქალაქო სარჩელი მოამზადა, მაგრამ სასამართლოში წარდგენა ვერ შეძლო კლიენტის ბრალით - შალვა ბიბილაშვილმა მას არ მიაწოდა მტკიცებულებები. საქმეში წარმოდგენილია ადვოკატის მიერ მომზადებული სარჩელი, სადაც დანართის სახით მითითებულია მტკიცებულებათა კონკრეტული ნუსხა. ეთიკის კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ მას ჰქონდა ამ მტკიცებულებათა უმეტესობა, მაგრამ სასამართლოში სარჩელი არ შეიტანა, რადგან მიიჩნია, რომ მტკიცებულებები არ იყო საკმარისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, თუმცა ადვოკატს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც დადასტურებდა, რომ მან აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო კლიენტთან შეთანხმებით. კლიენტი წლების განმავლობაში მიიჩნევდა, რომ ადვოკატმა მიმართა სასამართლოს, სასამართლომ მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა და ადვოკატს უნდა განეხორციელებინა გადაწყვეტილების აღსრულების ღონისძიებები.

12.9 ვალენტინა მელნიკოვას საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება გაიყიდა აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2014 წლის 19 სექტემბრის განკარგულებით. საადვოკატო ურთიერთობის დაწყებიდან ქონების გაყიდვამდე ადვოკატს, როგორც წარმომადგენელს არ უმოქმედია კლიენტის სასარგებლოდ. აღნიშნულ ფაქტს ადვოკატი ადასტურებს და განმარტავს, რომ ის არ იყო შალვა ბიბილაშვილის ადვოკატი და მას ეხმარებოდა, როგორც ახლობელი. შესაბამისად ადვოკატმა დაარღვია კლიენტის კვალიფიციურად და კანონიერების პრინციპის შესაბამისად წარმომადგენლობის ვალდებულება.

12.10 გარდა კლიენტის კვალიფიციურად წარმომადგენლობისა, ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტის ინფორმირების და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის პროფესიული ვალდებულება.

12.10.1 „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“ (აშსკ, მუხლი 6.2);

12.10.2 „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“ (აპეკ-ის მუხლი 8.6).

12.11 ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე... ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია, ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე (საქმე N074/10, 28/01/2011).

12.12 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები (საქმე N092/11, 22/03/2012).

12.13 პროფესიულ ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს, რომ საადვოკატო მომსახურების დაწყებისას ადვოკატი და კლიენტი შეთანხმდნენ ორივე მხარისთვის მისაღებ კომუნიკაციის წესზე.

12.14 ადვოკატთან კომუნიკაცია ჰქონდათ შალვა ბიბილაშვილს, ვალენტინა მელნიკოვას და შალვა ბიბილაშვილის მეუღლეს. შალვა ბიბილაშვილი აღნიშნავს, რომ ადვოკატს ვერ უკავშირდებოდა თვების განმავლობაში და ამ პერიოდში არ იცოდა, რა ხდებოდა მათ საქმესთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ ადვოკატთან ტელეფონით დაკავშირება შეუძლებელი იყო, შალვა ბიბილაშვილი მას სისტემატურად ელოდებოდა საცხოვრებელ სახლთან, მუდმივად უწევდა კომუნიკაცია ადვოკატის ოჯახის წევრებთან, რომლებმაც არ იცოდნენ, სად იყო გურამ საათაშვილი ან როდის მივიდოდა სახლში. ადვოკატ-კლიენტს შორის კომუნიკაციის არ არსებობას ადასტურებს შალვა ბიბილაშვილის მოწმე თამარ ფხალაძე, რომლის სახლი მდებარეობს ადვოკატის სახლის მეზობლად და ადვოკატის მოლოდინში შალვა ბიბილაშვილი თამარ ფხალაძის სახლს იყენებდა მოსაცდელ ადგილად (პარ. 10.2.3). ადვოკატი არ იყო ხელმისაწვდომი კლიენტისათვის, მასთან დაკავშირება და ინფორმაციის მიღება იყო მნიშვნელოვნად გართულებული. ამასთან, ადვოკატს არ წარმოუდგენია საპატიო გარემოება, რომელიც აღნიშნულ ფაქტს ობიექტურად ახსნიდა.

12.15 მომჩივანის პრეტენზიით, ადვოკატი მათ წლების განმავლობაში ეუბნებოდათ, რომ სარჩელით მიმართა სასამართლოს და საქმე მიმდინარეობდა მათ სასარგებლოდ, ამის პარალელურად ადვოკატი განმარტავს, რომ სასამართლოსათვის სარჩელით არ მიუმართავს, რადგან შალვა ბიბილაშვილმა მტკიცებულებები ვერ წარმოუდგინა და სასამართლოსთვის მიმართვა იქნებოდა არაპერსპექტიული.

12.16 გურამ საათაშვილმა კლიენტს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ, რაც ასევე არღვევს კლიენტის ინფორმირების ეთიკურ ვალდებულებას, რადგან კლიენტის ინფორმირება მისთვის არა ნებისმიერი, არამედ სწორი და სრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას გულისხმობს. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების შედეგად კლიენტებს მიადგათ ზიანი, ვერ მიიღეს კვალიფიციური იურიდიული რჩევა, რათა შეძლებოდათ უარყოფითი შედეგის - ერთადერთი საცხოვრებელი ბინის აუქციონის წესით გაყიდვის თავიდან აცილება.

12.17 განსახილველ შემთხვევაში, იმის გამო, რომ კლიენტები მუდმივად იყვნენ არაინფორმირებულები რა ხდებოდა მათ საქმეზე, მათ ეჭვი შეეპარათ ადვოკატის კვალიფიკაციაში და დაკარგეს მისდამი ნდობა. შესაბამისად, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გურამ საათაშვილის მხრიდან დარღვეულია პროფესიული ნორმებით გათვალისწინებული კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

12.18 ადვოკატ გურამ საათაშვილის მიერ დარღვეულია სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოებისა, საქმის მასალებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება:

12.18.1 "ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით" (აპეკ-ის მუხლი 8.12).

12.18.2 "კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი" (აპეკ-ის მუხლი 8.15).

12.19 ადვოკატის ფიდუციური ვალდებულებებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს მინდობილი თანხების შესახებ ხარჯთაღრიცხვის წარმოება და კლიენტისათვის წარდგენა. ეს ნორმა აწესებს ადვოკატის ვალდებულებას აწარმოოს ხარჯთაღრიცხვა მიუხედავად იმისა, კლიენტი ითხოვს თუ არა ამას (საქმე N011/18, 10/01.2019)

12.20 კლიენტისათვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი იმ თანხის მიზნობრიობა, რასაც ის ადვოკატს გადასცემს. ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერები კლიენტის მიერ გადაცემულ ყველა თანხასთან დაკავშირებით და კლიენტისათვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია. კლიენტისათვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია. ადვოკატის მიერ ,,სრული და ზუსტი ჩანაწერის" წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის წარმოებას. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდების ვალდებულებას (საქმე N007/16, 25/10/2016).

12.21 ადვოკატის ქცევა, როდესაც ის არ აწარმოებს კლიენტისგან მიღებული თანხებისა და საქმის წარმოების ხარჯის შესახებ ჩანაწერებს, შეფასდება კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების

ვალდებულების დარღვევად. ადვოკატის მიერ ხარჯთახღიცხვის წარმოების შესახებ ვალდებულების შესრულება არ არის დაკავშირებული კლიენტის მოთხოვნასთან. მიუხედავად კლიენტის მოთხოვნისა, ადვოკატს საქმისწარმოების პროცესში ევალება აღნიშნული ფიდუციური ვალდებულების შესრულება (საქმე N125/18, 13/11/2018).

12.22 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას (საქმე N037/14, 10/12/2014).

12.23 საჩივრის ავტორთა მიერ მითითებული თანხებიდან, კომისია დადგენილად მიიჩნევს ადვოკატის მიერ ჰონორარის სახით 500 ლარის მიღებას (პარ. 10.1.3), რომლის გამოუმუშავებელი ნაწილი, ადვოკატს კლიენტისათვის არ დაუბრუნებია. წარმოდგენილი საქმის მასალებიდან და მხარეთა პოზიციებიდან გამომდინარე, კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ გურამ საათაშვილს კლიენტისათვის საქმის მასალები სრული სახით არ დაუბრუნებია (პარ. 10.2.4). ადვოკატ გურამ საათაშვილის მიერ დარღვეულია სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების, კლიენტისათვის გამოუმუშავებელი საადვოკატო მომსახურების თანხისა და საქმის მასალების დროულად, სრულად დაბრუნების ეთიკური ვალდებულება.

12.24 კომისიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია, ადვოკატის პოზიცია, საქმის მასალები და დაადგინა, რომ ადვოკატმა კლიენტს მომსახურება გაუწია სფეროში, რაშიც კვალიფიკაცია არ ჰქონდა, არ აწარმოა სრული და ზუსტი ჩანაწერები კლიენტის მიერ გადაცემულ თანხებზე, არ დაუბრუნა კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარი და საქმის მასალები სრულყოფილად, ადვოკატთან დაკავშირება იყო რთული, კლიენტის მცდელობისას, მიეღო თავისი საქმის შესახებ ინფორმაცია, ადვოკატი შემოიფარგლებოდა ზოგადი განმარტებებით, დაიმედებით და მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ იყო სწორი. ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის ინტერესებისადმი ასეთი დამოკიდებულება ფასდება ადვოკატის არაკეთილსინდისიერ, არაკვალიფიციურ ქმედებად და კლიენტის ინფორმირების, გამოუმუშავებელი ჰონორარისა და საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულებისა დარღვევად. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მითითებული ქმედებით, ადვოკატი გურამ საათაშვილი აზიანებს არა მხოლოდ მის მიმართ ნდობას, არამედ

საზოგადოებაში ამკვიდრებს უნდობლობას ზოგადად ადვოკატის პროფესიისადმი, რაც ყოვლად დაუშვებელია. შესაბამისად, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ გურამ საათაშვილის მიერ დარღვეულია პროფესიული ნორმებით გათვალისწინებული ეთიკური ვალდებულებები, რისთვისაც მას უნდა დაეკისროს დისციპლინური სახდელი.

12.25 ეთიკის კომისია ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმიდან და ადვოკატის ქმედებიდან გამომდინარე, ადვოკატ გურამ საათაშვილის მიმართ იეყენებს დისციპლინური სახდელის ფორმას - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

12.25.1 დისციპლინური სახდელის სახეებია: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა (აშსკ, მუხლი 34).

12.25.2 ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი (დებულება, მუხლი 2.5).

12.26 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, იგულისხმება პირველ რიგში ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრა, რადგან დისციპლინური წარმოების მიზანი არ არის კლიენტის ქონებრივი თუ მორალური ზიანის დაკმაყოფილება, განსხვავებით სამოქალაქო წარმოებისგან. დისციპლინური წარმოების მიზანია ადვოკატის პროფესიული ეთიკური ვალდებულებების აღსრულების უზრუნველყოფა, ხოლო თავის მხრივ ეთიკის კოდექსის პრეამბულაში მოცემულია მისი მიზანი, მათ შორის არის საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული პასუხისმგებლობის შესაბამისი ქცევის უზრუნველყოფა და ადვოკატის პროფესიისათვის მაღალი ნდობის მოპოვება. შედეგად ეთიკის კომისია აფასებს, თუ რამდენად მძიმე იყო ადვოკატის მიერ პროფესიული ვალდებულების დარღვევა და რა ზიანი მიაყენა ამ დარღვევამ ადვოკატის პროფესიას, თუმცა ზემოაღნიშნული არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც.

12.27 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17).

12.28 „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (საქმე N098/17, 31.05.2018).

12.29 ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული რეგულაციის მე-10 წესს, რომელიც დამატებით კრიტერიუმებს განსაზღვრავს პროპორციულობის პრინციპის გამოსაყენებლად: „სანქციის დაკისრებისას გასათვალისწინებელია დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, მათ შორის, მანამდე, ადვოკატს ჰქონდა თუ არა დისციპლინური სახდელი დაკისრებული; ადვოკატის მხრიდან ადგილი ჰქონდა თუ არა დისციპლინური საქმისწარმოების პროცესის ხელშეშლას, აღიარებს თუ არა ადვოკატი გადაცდომას, ადვოკატის რეპუტაცია და შრომითი გამოცდილება, დროულად და კეთილსინდისიერად გადაცდომის შედეგების გამოსწორება". (ABA, Model Rule 10 - Sanctions).

12.30 მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისია სახდელის ინდივიდუალიზაციისთვის მხედველობაში იღებს გარემოებას, რომ ადვოკატის ქმედებით ზიანი მიადგა არა მარტო კონკრეტულ კლიენტს, არამედ ზიანი მიადგა ასევე პროფესიას. კლიენტს წარმოეშვა უნდობლობა ადვოკატების მიმართ, რადგან ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენელმა არ დაიცვა ძირითადი პროფესიული ვალდებულებები - კეთილსინდისიერი, კვალიფიციური საადვოკატო მომსახურება, კლიენტის ინფორმირება, კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარისა და საქმის მასალების დაბრუნება. საქმეში შემდეგი დამამძიმებელი გარემოებებია: ადვოკატმა დაარღვია რამდენიმე პროფესიული ვალდებულება, და მათ შორის არის პროფესიული ეთიკის ისეთი ქვაკუთხედი ვალდებულებები, როგორიც არის კანონიერების პრინციპი და კეთილსინდისიერების ვალდებულება; ადვოკატის მხრიდან ვალდებულებების დარღვევა გრძელდებოდა ხანგძლივი დროის განმავლობაში 2013 წლიდან 2018 წლამდე; ადვოკატს არაფერი უღონია კლიენტისთვის მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად; ადვოკატი ვერ აცნობიერებს, რომ ის არღვევდა კანონს და პროფესიულ ვალდებულებებს, ის არცერთ ნაწილში არ დაეთანხმა პრეტენზიებს. მართალია ადვოკატის მიმართ არ არსებობს გაუქარწყლებელი დისციპლინური სანქცია, მაგრამ დამამძიმებელი გარემოებები იმდენად მნიშვნელოვანია როგორც რაოდენობით, ისევე სიმძიმით, რომ აღნიშნული ვერ გადაწონის მათ.

12.31 აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ გურამ საათაშვილისათვის დისციპლინური სახდელის სახეები: გაფრთხილება ან საადვოკატო საქმიანობის უფლების უფრო დიდი ვადით ჩამორთმევა ქმედითი ვერ იქნება. ეთიკის კომისია ითვალისწინებს, რომ საადვოკატო უფლების შეწყვეტის შედეგად პირს შეუძლია მიმართოს ადვოკატთა ასოციაციას გაწევრიანების მოთხოვნით შეწყვეტიდან 3 წლის გასვლის შემდეგ. თავისი შედეგით, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეწყვეტა ტოლფასია 3 წლით საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერების.

12.32 ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ეთიკის კომისია ადვოკატ გურამ საათაშვილის მიმართ იყენებს დისციპლიურ სახდელს - საადვოკატო საქმიანობის უფლების შეწყვეტას.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.2, 32, 34.1(გ), 35, 35[1] მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5, 8.6, 8.12, 8.15 მუხლებით,

ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2.5, 19, 39, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N060/18 ადვოკატ გურამ საათაშვილის მიმართ /სიითი 1135/ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

გადაწყვეტილებას ერთვის კომისიის წევრის, არჩილ ჩოფიკაშვილის განსხვავებული მოსაზრება.

კომისიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კომისიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კომისიის წევრი: /ანა ხურციძე/

კომისიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კომისიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კომისიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კომისიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/

კომისიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კომისიის წევრი: /ია გაბედავა/

კომისიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისის წევრის

ადვოკატ არჩილ ჩოფიკაშვილის განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის №060/18 გადაწყვეტილებაზე,

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

1. გამოვხატავ რა ჩემი კოლეგებისადმი – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრებისადმი პატივისცემას, ამავე დროს, ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, გამოვთქვამ განსხვავებულ აზრს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისის 2020 წლის 14 თებერვლის

გადაწყვეტილებაზე (დისციპლინური საქმეზე 060/18 ადვოკატ გურამ საათაშვილის მიმართ /სიითი N1135/ დისციპლინური სახდელის ფორმად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ).

2. ადვოკატის მიმართ ამა თუ იმ სანქციის გამოყენება საჭიროებს განსაკუთრებულ სიფრთხილეს, დასაბუთებას, სამართლიანობას, პროპორციულობას და განჭვრეტადობას. გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროა გათვალისწინებული იყოს ადვოკატის პროფესიის განსაკუთრებული სტატუსი და მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში, მართლმსაჯულებაში, დემოკრატიის და ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ქვეყანაში, რეგიონში, უახლოესი წარსული და სხვა მნიშნელოვანი გარემოებები.

3. თუ უკმაყოფილო (ან კმაყოფილი) კლიენტის საჩივარი ადვოკატის მიმართ სანქციის საფუძველი გახდება განსაკუთრებული კონტროლის და წინასწარ შემუშავებული ნათელი გარანტიების გარეშე, ეს წაახალისებს მსგავსი ტიპის საჩივრებს და საბოლოო ჯამში, უარყოფით გავლენას მოახდენს ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობასა და მდგრადობაზე. მსგავსი განვითარება ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას მოწყვლადს გახდის სხვადასხვა ინტერესების და საფრთხეების წინაშე.

4. იმისათვის, რომ ადვოკატის პროფესიას და ადვოკატის დამოუკიდებლობას საფრთხე არ დაემუქროს კონკრეტული სანქციის გამოყენებისთვის საჭიროა აშკარა, განჭვრეტადი და არაორაზროვანი ბარიერების დაწესება ნორმატიული რეგულირებით ნორმატიული რეგულირების ქვეშ, მინიმალური სტანდარტები ასევე შესაძლებელია ეთიკის კომისიის პრაქტიკით დაზუსტდეს.

მკაცრი სანქციის გამოყენება უნდა იყოს უკიდურესად აუცილებელი და საჭირო, სანქციის მიზნების მიღწევა შეუძლებელი უნდა იყოს ნაკლებად მკაცრი ზომის გამოყენებით. სანქციის შეფარდებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ ზიანი, რომელიც მიადგა დაზარალებულს და ზიანი, რომელიც მიადგა ადვოკატის პროფესიას კონკრეტულ შემთხვევაში.

5. ორი ერთმანეთის იდენტური საქმე არ არსებობს. როგორც საქმეა ინდივიდუალური და განსხვავებული ასევე ადვოკატის მიერ გასაწევი შრომაც არის განსხვავებული და ინდივიდუალური კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონზე (კანონის ანალოგია), რომლის 53-ე მუხლით დადგენილია, რომ „სადისციპლინო კოლეგია დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობის და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, თუ სადისციპლინო კოლეგიაში საქმის განხილვის შედეგად დადასტურდა მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა, რაც, თავის მხრივ, სადისციპლინო კოლეგიას ავალდებულებს დაადგინოს ამავე კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებათა ერთობლიობა, კერძოდ, “... ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ ქმედება, რომლისთვისაც მას წარედგინა დისციპლინური ბრალდება, ამ კანონის შესაბამისად არის თუ არა ეს ქმედება დისციპლინური გადაცდომა, ... მიუძღვის თუ არა მოსამართლეს ბრალი დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში”. ამასთან, ამავე კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილია, რომ სახდელის ზომის შერჩევისას სადისციპლინო კოლეგია ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის

შინაარსსა და სიმძიმეს, შედეგებს, რომელიც მას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ბრალის ხარისხსა და მოსამართლის პიროვნებას, მის საქმიან და მორალურ რეპუტაციას“, ანუ ნებისმიერ შემთხვევაში დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს მოსამართლის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების ღონისძიების შერჩევის წინაპირობას, ამასთან, განსახილველ შემთხვევაში, კანონმდებელი სავალდებულოდ ადგენს ზემოაღნიშნულ ნორმაში განსაზღვრულ სხვა გარემოებათა ერთობლიობაში არსებობასაც, კერძოდ, მოსამართლის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში მოსამართლის ბრალის ხარისხის შეფასებას. აქვე, გასათვალისწინებელია არსებული პრაქტიკა და მათ შორის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამო მოსამართლეთა უფლებამოსილების ჩამორთმევის ნულოვანი პრაქტიკა ბოლო 10 წლის მანძილზე (http://dcj.court.ge/).

6. ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ,,ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.'' იმისათვის, რომ ადვოკატის თავისუფლებას არ დაემუქროს საფრთხე თითოეული ადვოკატისთვის და გარეშე პირებითვის ნათელი და აშკარა უნდა იყოს დარღვევა რის გამოც დადგება პასუხისმგებლობა. უმნიშვნელოვანესია, რომ გამოყენებული სანქცია დარღვევის პროპორციული იყოს და არ იწვევდეს დამატებით კითხვებს. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება საქმე დსშ/3-17 22 მაისი, 2017 წელი).

7. კონკრეტული შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ წარსულში ადვოკატი დისციპლინირებული არ ყოფილა, არსებული გარემოებების გათვალისწინებით პროპორციული იქნებოდა შედარებით მსუბუქი დისციპლინური სახდელი - საქმიანობის უფლებამოსილების შეჩერება 2 (ორი) წლის ვადით.

არჩილ ჩოფიკაშვილი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ეთიკის კომისიის წევრი